# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

**რედაქცია**

გოლოვინის პროსპექტზე თ. ივ. მუხრანსკის სახლში კლუბის ქვემოთ.

**ხელის-მოწერა**

მიიღება თბილისში „დროების“ რედაქციაში, ქუთაისში: ჭილაძის (გერარდის) წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“.

**„დროების“ ფასი:**

მთელის წლისა . . . 9 მან. | სამის თვისა . . . 3 მან.
ექვსის თვისა . . . . 5 მან. | ერთის თვისა . . . 1 მან.

**ფასი განცხადებისა**

დიდის ასოებით, ასომთავრულის სტრიქონზე . . . კაპ., ასოზე ნახევარი კაპ., წვრილებრივის ასოთი სტრიქონზე 8 კაპ.

თუ ხელნაწერები მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია უკანვე არ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს ერთი შაური.



**არწრუნის თეატრი.**

**დღეს, 24 ნოემბერს**

აბონემენტის რიცხვში

ქართული დრამატიული დასისაგან

წარმოდგენილი იქნება

**I**

**ორ ცეცხლშუა**

დრამა 3 მოქ. ფრანცუზულიდამ.

**II**

პირველად

**მეჯლისი**

**იტალიელი მომღერლებით**

ოპერეტკა 1 მოქმ., მუზიკა ოფფენბახისა. მონაწილეობს ქ. დეკერ-შენკი. მმართველი ოპერეტკ. ბ. დეკერ-შენკი.

დასაწყისი 8 საათზედ.


## ორიოდე სიტყვა მეფუტკრეობის შესახებ ჩვენში.

საზოგადოდ ჩვენი მეურნეობა უმჯობესობას მოკლებულია. მეურნეობის რა ნაწილსაც მივმართოთ,—ყოველგან ცოდნის სისუსტეს ვხედავთ და ამასთანავე გაგონდებათ, რომ სადაც არ ცოდნა არის, იქ საქმის უმჯობესობაც ძნელია. ეხლა მხოლოთ სწავლით, მეცნიერებით და მხეობით შეიძლება უფრო სარგებლიანად საქმის წაყვანა სოფლად, ვინემ აქამომდე ყოფილა მამა-პაპურს მეურნეობაში.

ბევრმა დრომ გაიარა მას აქეთ, რაც უსწავლელ კაცს ველარა მოუგონია-რა, მხოლოდ თავის „ბუნებით ჭკუის“ შემწეობით და, თუ რამე კი შეუძენია მასვე, ისევ მიბაძვით და მიმზგავსებით. ეს დედანი, რომელსაც ჰბაძავს და ამზგავსებს რასმე „ბუნებით ჭკუის“ პატრონი უთუოდ სწავლული კაცი და მისი ღვაწლია. ჩვენ აქ ნადეილ მცოდნე კაცებზე გვაქვს სიტყვა და არა უხეირო „რუსეთუმეებზე“.

აიღეთ ხვნა და თესვა, აიღეთ მკა და ლეწვა, აიღეთ ტყის მოვლა ა ველისა—ყველგან ერთს იტყვით: მეცნიერება, მისი შემწეობა და უმჯობესობა! მეხანიკა მეცნიერებამ და მხოლოდ იმან შესძინა კაცობრიობას სხვა-და-სხვა სამეურნეო მაშინები—სახნავი, სამკალ-სათიბი, მლეწველი და სხვა. ტყის სარგებლიანად შენახვა არ ვიცით და არც შეგვიძლიან, თუ არ მივმართეთ სხვათა შორის მეცნიერებას—ტაქსაციას, ურომლისოდაც, მართალია, ვსარგებლობთ „საქენების“ ზიდვით, მაგრამ ისე კი, რომ ტყეს გაჩანაგებთ სამუდამოდ მაშინ, როდესაც მეცნიერების შემწეობით ტყიდგან მეტს სარგებლობასაც შევიძენდით ვინემ ეხლა და ამასთანავე ტყესაც შევინახავდით სამუდამოდ. თვით მებაღეობა, რომელიც იყო ერთ დროს ჩვენი შემნახველი, ეხლა თითქმის ველარავითარს სარგებლობას ვერ გვაძლევს. რათა? იმიტომ რომ დრო შეიცვალა, მოთხოვნილებამ იმრავლა,—რითაც წინად ერთად ვსარგებლობდით, მით ეხლა ერთი-ათად უნდა ვისარგებლოთ, და ვერ ვსარგებლობთ კი საჭიროების ოდნად. რა არის ამ უხეირობის მიზეზი? ნუ თუ შრომამ გვიმტყუნა ან მხნეობამ გვიკლო? სრულებითაც არა: ცოდნა ალარა გვყოფნის, ძველი ცოდნა, ახალი ცოდნა გვჭირია და ამიტომაც ჩვენს საქმეს აღარა აქვს საკმაო ყუთი, ჩვენს მხნეობას და შრომას საკმაო ფხა. ჩვენს ძველებურს მეურნეობას მადა დაეკარგა.—იქ, სადაც ერთი ათად სარგებლობა შეიძლება, ჩვენ ერთი-ორადაც ველარ ვსარგებლობთ.—ჩვენს შრომას და მხეობას ფუქსავატობა ფერად აძევს და უხეირობა სენად გასჩენია. ჩვენ აქ დაწვრილებით ვერ მოვილაპარაკებთ ჩვენს სასოფლო მეურნეობაზედ. ჩვენ მხოლოდ ორიოდე სიტყვას ვამბობთ მეურნეობის ერთს შესანიშნავს ნაწილზედ, სახელდობ მეფუტკრეობაზედ, რომლის უმჯობესობა უფრო ადვილია, მაშასადამე უმეტესი სარგებლობაცა.

მეფუტკრეობა ჩვენში ერთსა და იმავე დონეზედა სდგას და დიდად-დიდი ხანიც არის მას აქეთ „მავთა დროთ ვერა შესცვალეს“ მეფუტკრეობის საქმე, თუმცა ფუტკარი, იგივე მხნე, იგივე მღერალი, მებრძოლე თავის ბედისა არის ეხლაც, რაც ყოფილა, თითქმის იმ დროს, როდესაც „ნოემ პირველად ინება ყურძნის წვენის გემოვნება“. ამ უმჯობესობის მიზეზი არის იგივე საზოგადოდ საქმის უცოდინარობა.

ფუტკარი და მის ცხოვრება, მისი ავ-კარგიანობა დაწვრილებით გამოკლეული არ იყო ძველად, და მხოლოდ მაშინ, როდესაც ყოველივე მავლინება ფუტკრის სიცოცხლისა და ცხოვრებისა გამოიძიეს და გამოცვლიეს მეცნიერიულად, მხოლოდ ელა შეიძლება უმჯობესობა მეფუტკრეობისა და, მაშასადამა, მისაგან უმეტესი სარგებლობაცა. რაკიღა ერთხელ შეისწავლეს ყოველ მხრივ ფუტკრის სიცოცხლე, აგებულება, მისი შრომის და მყალივობის წესები, ერთი სიტყვით საზოგადოდ მისი ცხოვრების ავ-კარგიანობა, მაშვინ საქმე მხოლოდ იმაშიღა იყო, რომ მოეგვაიებინათ ამ ულალავი მლალავისათვის ისეთი სადგური, სადაც შესძლებოდა ყოველ-გვარ მავნებლობის აცილება და სარგებლობის მოგვარიანება, ე. ი. ისეთი სკის გამოგონება შეიქნა საჭაროდ, რომ ფუტკარს რაც შეიძლებოდა უმეტესი სარგებლობა შეეძინა კაცისათვის თავის ულალავი მუყაითობით.

ამ გვარად მეფუტკრეობის გაუმჯობესობის საქმეს გერმანიაში შეუდგა გამოჩენილი მეცნიერი ბერლებში და რუსეთში არა ნაკლებად სახელოვანი მეცნიერი ბუტლეროვი, პროფესორი პეტერბურღის უნივერსიტეტისა. ორივე ისე გულმოდგინედ და საქმის ცოდნით მოღვაწეობდნენ და მოღვაწეობენ ეხლაც, რომ პირველის ღვაწლად მთელი გერმანია მოფენილია პატარ-პატარა საფუტკრე სახლებით, რომლებითგანაც თითქმის უჯაფოდ ნემცებს შემოსდით რამდენიმე მილიონი სარგებლობა. ამასთანავე ბერლებმა შესძინა თავის ხალხს მშვენიერი სახელმძღვანელოები მეფუტკრეობისა და თვითონვე აჩვენა ხალხს მაგალითი სარგებლობისა — მთელი ცხოვრება შეიძინა მეფუტკრეობით. ბერლებშის სკა ეხლა მთელს ევროპაში განთქმულია.

ამ გვარივე ხეირიანი მეფუტკრეობის გავრცელებასა რუსეთში ბუტლეროვი ცდილობს. ამან გაიცნო სხვათა შორის ჩვენებური ფუტკარი და ძალიანაც აქებს მას.

ამას წინედ მოსკოვში სატეხნიკო გამოფენის დროს ბუტლეროვმა წაიკითხა ლექციები რიგიან მეფუტკრეობაზედ.

სასიამოვნო სანახავია, ამბობს ნემენცური გაზეთი „პეტერ. ჰეროლდი“, როდესაც გამოჩენილი მეცნიერი სტოვებს თავის სამეცნიერო კაბინეტსა და გამოდის ხალხში საქადაგოდ, რომ შეასმინოს ხალხსა მისივე თქმით ის,

---

«დროების» ფელეტონი, 24 ნოემბერ.

## ქუთათური—ქუთათურად

ერთი დრო იყო, ჩემო კარგო მკითხველო, რომ ისე კვირე არ გაივლიდა, შენთან ერთხელ მაინც არ მელაპარაკნა ასე ბეჭდვით ჩვენებურს, ქუთათურს ამბებზედ.—მაგრამ მეწვია იმისთანა გარემოება, რომ იძულებულ ვიყავი დღემდისინ შემეწყვიტა შენთან ხან ტკბილი და ხან—ზოგი შენთვის და ზოგიც სხვისთვის, არა სასიამოვნო მასლაათი.... რა იყო ეს გარემოება—ნუ მკითხავ.... ვერც გეტყვი და არც მაინცა-და-მაინც სასიამოვნოდ დაგრჩება, რომ გითხრა... იყოს ეს გარემოება ისევ ჩემს გულში ღრმად დამარხული — სანამ კარგს დროს არ მოვესწრებით—იმისთანა დროს, როდესაც მართლის თქმა უფრო ადვილად შესაძლებელი იქნება და ამისი გამგონეც უფრო მეტი გვეყოლება, ვინემც დღეს გვყავანან... მართალი ხარ, რომ მართლის მთქმელი ეგების დღესაც ბევრნი გვყავან, მაგრამ მართლის გამგონი.... გამგონი კი—ღმერთო ნუ გვიწყენ, ძრიელ ცოტა.... რა ვქნათ, რომ ასეთია ჩვენი ბუნება და—განსაკუთრებით, ჩვენი იმერეთის ბუნება?...

ამას წინედაც და ახლაც ჩემი სურვილი—მერწმუნეთ, ის არის, რომ მართალი და მხოლოდ მართალი ვილაპარაკო და—თუ გამგონე მეყოლება, ხომ კარგი, თუ არა და—ჩვენი არაკის არ იყოს, „შეკმაზულს ცხენს“ მაინც ნუ მანატრებთ....

ეს თავით თავს არ შეგაწყენ ბევრის ამბებით, რომ შემდეგისათვის შენა გული უფრო ბევრისა და კარგი ამბებისათვის მოეიგო...

—

არასოდეს არ ვაკადრებ არც ჩემს ენას და არც შენს ყურს, ჩემო კარგო მკითხველო, რომ ისეთ უბრალო, უმნიშვნელო (?) და — ხანდის-ხან.... ძნელად დასაჯერებელ ამბებზედ გელაპარაკო, როგორც მაგალითად: ამა-და-ამ ქმარმა თა . . . სი ც . . . ლი ამა და ამ ლა . . . ეს შე . . . წ . . . რო თავის სა . . . ნ . . . ში, რომ სხვასთან დროს ატ . . . ბ . . . დაო, ანა და, ამა და ამ ქმარს ცოლი გაუთხ . . . დაო, ანა და, ამა და ამ ქმარმა თავის ცოლს შეურაცხყოფა მიაყ . . . აო, ან და, ესა და ეს ქმარი გულ-გრილად, არამც თუ გულ-გრილად, დიდის სიამოვნებითაც შეჰყურებს, რომ იმისი ცოლი, ერთად ერთი ცოლი, მამა-სისხლად ნაშოვნი, სხვასთან ცხ . . . რობს და იმის სახელს კი ატარებს, ანა და, ამ და ამ ბანკში ან სხვა რომელიმე საზოგადოებრივ დაწესებულებაში, ვითომც რიკოვის ლანდი მოსჩვენებიათ, ანა და, რომ ესა და ეს ესრედ წოდებული გაზეთი, რომლის მწერლები ერთი ჩვენებური მოხუმარის სიტყვების არ იყოს, ქაღალდის ფუქებაში ერთობ დიდს შრომას ეწევიანო, ამა და ამ ესრედ წოდებულის ბანკის გაზეთი არისო, რომ ამ გაზეთს პიროვნობის შებღალვა, შეურაცხყოფა იმდენად მიაჩნიაო, იმდენად ულირსო, რამდენადაც თქვენს მზარეულს, ჩემო მკითხველო, ერთი კონა შეტრუშკის ყი-

რაც პროფესორს მეცნიერულად გამოუკვლევია და შეუსწავლიაო.

თუ კი გერმანიაში და რუსეთში აძლევენ დიდს მნიშვნელობას რიგიან მეფუტკრეობასა და ამასთან დარწმუნდენ კიდეც, რომ დიდი სარგებლობა მოაქვს მას, ჩვენში, საქართველოში ხომ უსათუოდ ერთი-ათ ჯერ მაინც უმეტესი სარგებლობა უნდა გვაჩვენოს მეფუტკრეობამ, უკეთუ საქმეს ხეირიანად შეუდგებით. მე თქვენ გითხრათ, ჩვენი ქვეყნის ბუნება ჩამოურჩება რაშიმე გერმანიის და რუსეთის ბუნებასა.

უოველივე ესეები მიიღო მხედველობაში გორის სამასწავლებლო სემინარიამ დაააშენა ბ. გაუსმანის მეცადინეობით სამაგალითოდ მოსწავლეებისათვის და ყველასათვის, ვისაც კი სახეირო საქმის სურვილი აქვს საფუტკრე სახლი ბერლებში სკებით. თვითონ ბერლებში სკას აკეთებს იქვე, გორში, დურგალი. გარდა ამისა სემინარიამ გადასწყვიტა ბუტლეროვის სახელმძღვანელოს გადათარგმნა ქართულად: „ფუტკარი, მისი ცხოვრება და უმთავრესნი წესნი რიგიან მეფუტკრეობისა“.

იმედი გვაქვს, რომ ამ საქმეს ყურადღებას მიაქცევენ ყველა ჩვენი მემამულენი, გაიცნობენ რიგიანს მეფუტკრეობას და ისარგებლებენ; მაგრამ უმეტესი იმედი გვაქვს ჩვენი სასოფლო მასწავლებლებისა—იმათი მოწადინებით საქმე ერთი ათად, ერთი ასად გაადვილდება და ყოველ სკოლას გვერდში ამოუდგება სამაგალითოდ პატარ-პატარა საფუტკრე სახლები ბერლებში სკებით,—ამ გვარის ცხადის მაგალითით, ჩვენ დარწმუნებული ვართ, სოფლის მასწავლებელნი ნაღდს სამსახურს გაუწევენ ჩვენ ხალხსა და ამასთან თავის სკოლასაცა.

## დღიური

გასულ კვირას, როგორც დანიშნული იყო, მოხდა არწრუნის თეატრი მესამე ხარისხის ხმოსანთა ამორჩევა.

დაგვისაბუთდა ჩვენი მოსაზრება. ქვემო სიიდამ დაინახავთ რამდენად მართალი ვიყავით, რომ ვთქვით: არა გვგონია, მაშინაც ოთხ-ხუთ კაცზე მეტი ვინმე ამოარჩიონ, გარდა სომხებისა.

არწრუნის თეატრში კენჭის ყრის დროს, რომელიც გაგრძელდა დილის 10 საათ. საღამოს 7 საათ., იყო სულ 253 კენჭი და ამორჩეულ იქმნენ 8 ხმოსანნი. შემდეგ აქ შესწყდა სხდომა და 8 საათიდან ღამის 1 საათამდის გაგრძელდა ამორჩევა რჩევაში. აქ იყო 195 კენჭი, მაგრამ ამ მეორედ კენჭის ყრის დროს ყველანი გაამაჟეს. ამის გამო, საქალაქო წესდებულების ძალით, ხელ-ახლავ უყარეს კენჭი იმათ, რომელთაც უმეტესი თეთრი მიიღეს ორივე წინანდელ ამორჩევის დროს.

ამორჩეულ იქმნენ მესამე ხარისხის ხმოსნებად: ბ. დ. ქართველიშვილი, ნ. ი. ნიკოლაძე, ნ. დ. ზუბალოვი, ექ. ნ. ბ. ვერმიშევი, ე. ღ. წურინოვი, ე. ე. ხოსროევი, ექ. ვ. ა. გლავაცკი, ა. ა. თამამშევი, ი. ის. წოვიანოვი, გ. გ. ადელხანოვი, ე. ს. როტინოვი, ექ. ვართანოვი, გ. გ. ტერ-ასატუროვი, ი. კ. ელიმირზოვი, ი. ს. უორლანოვი, მ. ა. თამამშევი, გ. ზ. იარალოვი, ექ. ბაბოვი. ნ. ე. ხოსროევი, ვ. ი. ზიალოვი კ. მ. კოლუბანსკი, ა. ა. ბარანოვი კ. მ. ენიკოლოპოვი და ვ. გ. ქონდურილოვი.

აქვე რჩევამ გარდასწყვიტა, რომ იმ ვექილთ, რომელთაც დაჰკარგს ხმის უფლება სახვედრო ნედოიმკს შემოუტანელობით მათის ქონებისგან, არ ექმნეთ ნება ამორჩევებში მონაწილეობის მიღებისა. ამ გარდაწყვეტილებას ძალით კანდიდატების რიცხვისაგან გამორიცხულ იქმნა თ. ნ. ამატუნი და მას მაგიერ სხვა დაინიშნა. ამას გარდა ერთმა ხმოსანთაგანმა ბ. ალადათოვმა, აღძრა კითხვა მის შესახებ, რომ ქალების ვექილთ მოლოდ ხმის უფლება ჰქონდეთ კრებაზედ და თვით-კი ამორჩეული არ უნდა იქმნენ, რადგან ესენი ქალების ვექილები რომ არიან, ქალებს წარმოადგენენო და ქალებს კი უფლება არა აქვთ ხმოსნობისაო, მაგრამ ეს

ნანადდება უყურადღებოდ დასტოვა რჩევამ.

* * *

უმაღლესის ბრძანებით ბათომში ოსმალეთის ღენერალურ ელჩად დაინიშნა სადად-ბეი.

* * *

სტამბოლიდან მოსული დეპეშა გვაცნობებს, ოსმალეთის მმართებლობა თანხმდებაო, რომ რუსის კამპანიამ გაიყვანოს ქ. ბათომიდან რკინის გზა ქ. დიარბექირამდის, ხმელთა-შუა ზღვისაკენ.

* * *

დაბა სახჩერიდან, (შორაპნის მაზრისა) გვწერენ:

„ძნელად წარმოიდგენთ, რა სიამოვნებით და აღტაცებით შევეგებეთ ჩვენ ყაჩაღ მაჭავარიანების დატყვევებას. ჯერ ნამდვილი გარემოება არ ვიცით ამ ამბისა, მაგრამ ეს ხმა კი ნამდვილია, ვიცით. მოისვენოს იქნება ჩვენმა მაზრამ,—არა თუ ჩვენმა მაზრამ მარტო, თითქმის მთელს იმერეთს აცახცახებდნენ ისინი. მართალია წვრიმალი ყაჩაღები კიდე დაგვრჩნენ, კიდე ბლომად გვყვანან, რომ ვთქვათ ყაჩაღის წოდება არც კი ეკადრებათ ამათ, მაგრამ სხვილ-სხვილებისაგან თუ გვიხსნის ჩვენი მთავრობა იმდენ სიკეთეს გვიქს, ამ წვრილებს მალე შეეკვეცებათ ფრთები, რადგან გამამხნევებელი აღარ ეყოლებათ. ათასი მადლობა ჩვენგან, ვინც ესეთი ჭირი და რისხვა აგვიცდინა თავიდან“.

* * *

ქუთაისის გუბერნის სამმართველოს გადაწყვეტილებით აღკრძალულ იქმნა „იარმარკობა“ ოზურგეთის მაზრის სოფლის მერკეთის საზიავადოესაში. ეს იარმარკა მუდამ წლეობით 8 ენკენისთვიდამ ათის დღის განმავლობაში გრძელდებოდა ხოლმე. სამმართველოს თავის ამ გვარი განკარგულების საბუთად მოუყვანია ის, რომ ეს „იარმარკა“ მთავრობის ნება-დაურთველად ხდებოდაო.

ამ გვარი „იარმარკობა“ ბევრგან არის შემოღებული ჩვენ მხარეში—ეს არის მცირე გამოფენა ჩვენი ქვეყნის სხვა-და-სხვა ნაწარმოებათა, თუ ხელობათა. ამ გვარი „იარმარკობას“ ცხადია, თუ სარგებლობა არა, არასოდეს ზიანი არ შეუძლია მისცეს ჩვენ მხარეს, და ჩვენის აზრით, ხსენებულ სამმართველოს ერთობ მცირე და ადვილად ასაცდენი, თუ კი მისგან ნდომა იქნება, მიზეზი გამოუნახავს ამ გვარი გარდაწყვეტილების საბუთად.

* * *

ფიცხელი გამოძიება მიდის გორსა და ქარელს შუა რკინის გზაზედ მომხდარ ცარცვის გამო. რკინის გზის მართველობის თხოვნით ავაზაკების აღმოსაჩენად გაგზავნილია ქალაქელი პოლიციის პრისტავი ბ. ლოლაძე, რომელიც 20 ამ თვეს უკვე გავიდა ქალაქიდან და ჩამოხტა სტ. გომს.

ქალაქში ხმებია, რომ ერთი დამნაშავე ამ საქმეში აღმოუჩენიათ და დატუსაღებული ჩამოუყვანია ტფილისში.

## წერილი რედაქტორთან

ბატონო რედაქტორო! თქვენი პატივცემულის „დროების“ მე 237 №-ში იყო დაბეჭდილი ბათომიდგან კორრესპონდენცია შესახებ ჩემდამი რწმუნებულის ბათომის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ სკოლისა. აქ კორრესპონდენტს ისეთი შეცდომა მოსვლია ერთი, რომელზედაც არ შემიძლიან არ მივაქციო „დროების“ მკითხველების ყურადღება, აღსადგენად ჭეშმარიტებისა. აი რაშია საქმე: კორრესპონდენტი იწერება, ვითომც ქართველთ მაჰმადიანთ შვილების რიცხი, რომელთაც ზემოხსენებულ სკოლაში უნდოდათ შემოსვლა, 200-დე ყოფილიყოს, მაგრამ მასწავლებელმა 40-ის მეტი ვერ მიიღოვო ადგილის უქონლობის გამო. ეს ასე არ იყო. როცა ამ საგანზე ლაპარაკი იყო, მაშინ სოფლელმა აღებმა სთქვეს, რომ ბათომის ახლომახლო სოფლებიდგან 200-დე შეგირდი მოგროვდებაო, თუ „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ იკისრებსო ამათ აუჩინოს მარტო სადგომი ბინაო ბათომში; საჭმელ-სასმელი და ტანთ საცმელი მშო-

ნახავთ... დიაღ, ძრიელ ვსწუხვარ, რომ ამისთანა შეცდომილება მომივიდა! სხვა რა გაგვაჩნია ქუთაისში სალაპარაკო ამბებად, ხალხის საგულისხმოდ, რომ ქალაქის რჩევაზე, ქალაქის გამგეობაზე, ჩვენს ბანკებზე, ჩვენს „შრომაზე“, ან სხვა ამ გვარებზე, ჩვენი ცხოვრების მოკამათლეებზე, მატრიალებლებზე არ ვილაპარაკოთ, ამათი ასავალ-დასავალი, აღიანჩალიანი არ ვსთქვათ, არ ავსწონოთ, არ დავსწონოთ... მაგრამ ისე კი არა, როგორც ზევით მოგახსენეთ ამა-და-ამაზე, ამან-და-ამან ესა-და-ეს თქვაო, არამედ ნამდვილი საბუთებიანი, ღირსსაყურადღებო და ღირს-ხან-გასაკიცხი და ხან საქებური ამბები უნდა გიამბოთ...

—

ეს არის გიახელი აქაურის მაზრის

ზედა, ანა და, რომ... რამდენი ამისთანა „ანა და რომ“-ის ჩამოთვლას გავუძლო, რომ მინდოდეს...

ერთმა ჩვენებურმა, აწ გარდაცვალებულმა და ჭკვიანად წოდებულ კაცმა სთქვა თურმე ერთხელ, რომ „ქვეყანა არის თეატრონი და ზედ მოთამაშენიო“. მართლა, რომ ეს ჩვენი პატარა ქვეყანა თეატრონია და ზედ იმისთანა მოთამაშენი და მოლაპარაკენი გვყვანან, რომ რად ჩავარდება ამათთან ან გოდფრუას ცირკის ოხუნჯების თამაში და ან რომელიმე მოამბე-მონადირესაგან ნადირობის ამბები... ზოგი ყირამალა გადადის ამ თეატრზე, ზოგი ბამბის ძაფზე ისე დაიარება, როგორც კარგს გატკეპნილს შარაზე, ზოგი რას შვრება და რას ამბობს და ზოგი რასა, კაცი ენით ვერ გამოთქვამს, რომ ყურით გაგონება კი შეიძლებოდეს.....

—

ეხლავე უნდა გავასწორო ჩემი შეცდომილება... ზემოდ ვამბობ, რომ სხვათა შორის ქუთაისის ქალაქის რჩევაზე და იმის ხმოსნებზე არას ვილაპარაკებ-თქო, მაგრამ ეს რჩევა და მისი ხმოსნები იმდენად შესანიშნავი არიან, რომ არ შემიძლია მართლა დღეს თუ არა, მალე შემდეგში მაინც ბევრი რამ საგულისხმო ამბები არ მოგახსენოთ იმათზე... ვეცდები სწორედ ნამდვილი და მიუდგომელი საბუთებით დაგიმტკიცოთ, რომ ისეთ რჩევას, ქალაქი საქმეების მზრუნველს, როგორიც ჩვენს ქუთაისს ჰყავს, ვერსად, ვერც ერთს ქალაქში დიდი რუსეთის იმპერიისა, ვერ შეხვდებით, დღისით სანთლითაც რომ ეძიოთ, ვერ

დღეო.... ან და კიდევ იმისთანა ამბებზედ გელაპარაკო, როგორც მაგალითად ჩვენი ქუთაისის ქალაქის სამმართველოს (რჩევის) ხმოსნებთა (ამ სიტყვაში ასო—მ-ნის მაგიერ რაღმე ასო ბ-ნი წამცდა და თქვენც გთხოვთ, მკითხველო, თორემ რომ თქვენც ჩემსავით არ შეგცდესთ, სიტყვა ხმოსნების მაგიერ სულ სხვა სიტყვა გამოვა....) ჰო, იმას მოგახსენებდით, რომ ქუთაისის ქალაქის რჩევის ხმოსნებიო, წელიწადში, ბ-ნი ბ. ლო . . . ბერიძესავებრ, რომელიც მარტო კენჭობის დროს იღვიძებსო თურმე, მხოლოდ ერთხელ გამოიღვიძებენო და მაშინ ახუნტრუცდებიან ხბოსავითაო... დანარჩენ დროს კი არც რჩევის სხდომებზე დაიარებიანო და ქალაქის საქმეებზედ ხომ იმდენად ზრუნავენო, რამდენადაც მე და შენ, მკითხველო, შარშანდელს თოვლ-

ებისა იქნებაო. ამასთანავე რიცხვი
დიანთ ქართველთა შვილებისა
რესპონდენტს გაუდიდებია—ორ-
ცი შაგირდი კი არ იქნება ქართულ
ლაში—არამედ სულ 34 შაგირ-
ველის.

ბათომის სკოლის მასწავლებელი
მ. ნათაძე.

ბათომი. 19 ნოემბერი.

## ბიბლიოგრაფია

„საქართველოს სამოთხე“—ბ-ნი სა-
ნის (ივერიელის) გამოცემა. 1882
პეტერბურღი.

ჟერ 82 წელიწადი გ.დის მას აქეთ,
საქართველო შევიდა რუსეთის
ველობის ქვეშ და ვრცელდება
ოპიული სწავლა-განათლება; მაგ-
ჩვენდა საუბედუროდ და სამარ-
ინოდ აქამდე ჯერ არავის არ და-
რია ქართულს ენაზე საქართვე-
ს ეკლესიის ისტორია, თუმცა
რნი ყოფილან და არიან ახლაც
თველთ შორის კურს შესრულე-
ლნი სასულიერო სემინარიებში და
დემიებში. უცხო ტომთ სწავლულ-
თქრებენ: ალბად ქართველთ არა
თ ისტორიულნი მატიანენიო, რომ
გან ისარგებლონ და დასწერონ
ორიულნი თხზულებანიო. მაგრამ
ა უცხო ხალხნი, თვით ქართვე-
ბშიაც ბევრნი არიან ისეთნი, რო-
თაც არ იციან, რომ მათს წინა-
თ დაუტოვებიათ სამოქალაქო და
კლესიო ცხოვრების მატიანენი.
ნი არიან გაწეწილნი მონასტრე-
ა და ეკლესიების წიგნთ-საცავებ-
და აგრეთვე რუსეთში, საფრან-
ში, რომში თუ სხვაგან. პეტერ-
ღში და მოსკოვში წიგნთ-საცა-
ში დიდ-ძალი ისტორიული მასა-
ინახება ჩვენი. აქ გაუტანიათ
ნი ზოგი თვით ქართველებსვე,
გი მთავრობას, საქართველოს რუ-
თან შეერთების შემდეგ; რომში
საფრანგეთში გაუტანიათ ეს მატია-
ი ქათალიკის ბერებს და მოგზაუ-
ბს.

წლეულს გაზეთებში აცხადებდნენ,
ს ძლიერ უძველესი რვეული ქარ-
თულს ენაზე დაწერილი იყიდება ლონდონშიო. ქართულს ხელთ-ნაწერ წიგნებს ჰპოულობენ შვეიცარიაშიაც. ოსმალეთში—სტამბოლში, სპარსეთში და ათონის მთაზე ხომ რაღა თქმა უნდა, ბევრი მოიძებნებიან ამ გვარი მატიანენი. ამბობენ, რომ სტამბოლის და თეირანის ბაზრებშიაც დააქვთ ქართული წიგნები გასასყიდადო.

ნათქვამიდგან ცხადადა სჩანს, რომ ისტორიულ მატიანეთა უქონლობა არ არის იმის მიზეზი, რომ არა სწერენ სასულიერო პირნი საქართველოს ეკლესიის ისტორიას. ისტორიის უქონლობის მიზეზი არის ქართველთ სამღვდელოების დაუდევრობა. დღეს ქართველობაში არ მოიპოვება იმისთანა პირი, რომ საქართველოს ეკლესიის ისტორია ზედმიწევნით იცოდეს. ვიტყვი სხვაფრივ: არამც თუ ახლა არ არის ქართველთ სასულიერო პირთ შორის ისეთი კაცი, რომელიც სწავლობდეს ეკლესიის ისტორიას, სწერდეს, აბეჭდვინებდეს დაავრცელებდეს ხალხში, არამედ არ არის არც ისეთი, რომ ჰკითხულობდეს იმას მაინც არის, რასაც სწერენ საერო პირნი.

1882 წელს მაგალითად ბ. საბინინმა პეტერბურღში გამოსცა საქართველოს ეკლესიის წმიდანების ცხოვრება სახელად „საქართველოს სამოთხე“, მაგრამ აქამდე არც ერთს მღვდელს ჯერ არ გამოუწერია ეს მშვენიერი წიგნი. ამისი მიზეზი, რასაკვირველია, ის არის, რომ ახლანდელ სამღვდელოებას, დაუდევრობისა გამო, აღარა აქვს ისეთი სასოება, ღვთის-მოყვარეობა და გულითადი სურვილი გაავრცელოს ხალხში წმიდათა მამათა ცხოვრებიდგან მაგალითები სათნო ცხოვრებისა, როგორიც ჰქონდა ძველად სამღვდელოებას. ის იქამდე გულგრილია თავის მოვალეობაზე, რომ იშვიათად იპოვით იმისთანა მღვდელს, რომელმაც იცოდეს ზედ-მიწევნით წმ. ნინოს ცხოვრება მაინც არის. იმათ უფრო კარგად იციან ისტორია პოპტებისა, ნესტორიანებისა, რომისა, ლოთრანგებისა, პროტესტანტებისა, ბერძნებისა და რუსეთის ეკლესიებისა, ვიდრე საქართველოისა. ეს გარემოება მით აიხსნება, რომ ტფილისის სემინარიაში ყველა ეკლესიების ისტორიას ასწავლიან, ქართული ეკლესიის ცხოვრებას კი არა.

ასრე არ იყო ძველს დროს. მართალია ისრეთი დამართული სკოლები არ იყო, როგორც ეხლაა, მაგრამ რაც იყო იმათში პირველად საქართველოს სამოქალაქო და საეკკლესიო ისტორიას ასწავლიდნენ. უწინ კარგად იცოდნენ სასულიერო პირთ, როგორც უცხო ეკლესიათა ისტორია და დოღმატური სწავლა, აგრეთვე საქართველოს ეკლესიისაცა; ახლა კი უცხო ეკლესიათა ისტორია ცოტაოდენად მაინც არის იციან, საქართველოისა კი სრულებით არა.

მღ. დიმ. ჯანაშვილი.

(დასასრული შემდეგში)

## ნარევი

ერთი სანარევო ძნელად დასაჯერებელი ამბავი მოგვივიდა დაბა ჩხარიდამ (შორაპნის მაზრაშია):

დ. ჩხარში სცხოვრებს ერთი ბუნებისაგან დამახინჯებული ოჯახობა. ამ ოჯახს შეადგენს ერთი მოხუცებული კაცი თავის ორი ვაჟით, (მესამეც ჰყავს ამ მამას შვილი, მაგრამ ის ადრევე მოსცილებია თავის მამა-მხეცს.) მამა ადრე ყოფილა ჭკვიანი მუშა კაცი. სცოდნია ხუროობა და დურგლობა. პირველ ხანებში კარგად მიყავდა თურმე ოჯახის საქმე, მაგრამ რამოდენიმე ხნის შემდეგ, უეცრად გამოიცვალა ცხოვრების გზა; მშრომელი მუშისაგან გარდიქცა ზარმაც და ბინძურა კაცად, დასტოვა ყოველივე კაცობრიული. ცხოვრებაც, სიწმინდეც, შრომაც და სარწმუნოებაც. იმან მოუშვა მხეცურად საზარელი კლანჭები, გამოუშვა თმა, დაანება პირის ბანას და სიწმინდეს თავი, საზოგადოებაში აღარ იარებოდა და აღარც ეკკლესიაში მიდიოდა, შემოაგლიჯა ტანზედ ტანთსაცმელი და ნაცვლად ტანთსაცმელისა შეიმოსა თმით, რომელიც ესლა მთელი ტანს უფარავს. [illegible] საზოგადოებაში აღარ იარებოდა. და აღარც [illegible] არვის ეკარებოდა, ენაც დაავიწყდა, რაც მას კიდევ არჩევდა მხეცებისგან; ესევე დაემართა მასთან მყოფ მის შვილებს; ისინიც ისრე არიან, როგორც მამა, თმით შემოსილნი კლანჭებ გამოშვებულნი, უენონი და ტიტველანი. სარწმუნოებაზედ და ღმერთზედ მათ ხომ სულ არაფერი არ იციან.

მარიამობის მარხვა იყო სწორედ, როდისაც მათ სოფლის ნაცვლები, მამასახლისის ბრძანებით, კეტებით მოერეკებოდნენ ეკკლესიაში, მაგრამ რას გაიგებდნენ, ნამეტნავად შვილები, რომლებმაც ენა არ იციან და არც არაფერი ესმისთ კაცისა. როდისაც საღტარში შაიყვანეს, კინაღამ ხატები დაამტვრიეს და შიგ მყოფნი მლოცავნი კბილებით და კლანჭებით დაჰგლიჯეს. ეს ოჯახობა სცხოვრებს ერთ ხის სახლში, რომლის ყველა ქუთხეებში ანთია ცეცხლი ცალ-ცალკე ამათთვის, რადგანაც ისინი ერთმანერთს არ ეკარებიან და თითო ორმო აქვთ ამოჭრილი, თითქმის 2 ალაბზედ, რომლებშიაც ისინი ღამე იძინებენ. ამათი მარჩენელი სოფელია. სიცივის დროს ისინი იღებენ ნაჯახებს და ათლიან სახლს ნაფოტებს ყველა ცალ-ცალკე, ასე რომ სახლის კედლები წარმოადგენენ იქა-აქ გამოგლეჯილს თხელს ქაღალდს. როდესაც ჩემმა ამხანაგმა ერთს მათგანს დანა მიაწოდა, ფრჩხილები მოიჭრეო, ანიშნა, მან კბილები დაღრიჭა ერთი საოცრად დაიღრიალა და არწყალებით პირის სახეში ცემას უპირებდა, მაგრამ გაექცა. მამა-მხეცმა ძლიერ მოიწონა ეს ქცევა თავის ველურ-შვილს და რაღაც ნიშნებით კბილების ღრეჭით და თავის ქნევით ანიშნებდა. ახავე მამა-მხეცს თავის სიმხეცის დამამტკიცებელი ველურობა ჩაედინა თავის საკუთარ ქალთან, (ეხლა ის გათხოვილია) რომელიც აეხსნა მით რომ: „ღორსაც ვჭამთ და მის შვილს გოჭსაცო“!! თუმცა დიდი საცადი იხმარა ამათ მოქცევაზედ ადგილობრივმა ბლაღოჩინმა მ. მ. ჯ. მაგრამ ვერა გააწყო-რა, და ერთხელ, როდისაც ის მივიდა მათთან ჩასაგონებლად, კინაღამ მათი სიმხეცის მსხვერპლი შაიქნა, რომ სოფლის მამა-

ამართლოდამ, სადაც ვნახე დაჭრი-
და გამაგრებული, იმდენად არა-
ს-შესანიშნავი, ვითომც - ყაჩაღი
დიმერ მაჭავარიანი, რომელიც წუ-
ის შუაღამისას, მაზრის მმართვე-
ს თანაშემწეს ბ. ქ. ალშიბაიას
უჭერია.

ამ ყაჩაღს ხლებია, ან, უკედა
ქვათ, ეს ხლებია მეორე მართლა
ანიშნავს ყაჩაღს, ეს რამდენიმე
ლიწადია ტყეს გავარდნილს მაქსი-
მაჭავარიანს. ორივენი ერთად ს.
ლაკს ყოფილან, ერთ ვილაც თა-
ნათესავ ქალთან; ვახშმობისას
ხმია თავზე ბ. ალშიბაია ყაზახის
ებით, შეუტყვიათ, გამოვარდნი-
ნ გარეთ, დაუპირებიათ გაქცევა;
იმეს უსვრია რამდენიმეჯერ რე-
ლვერი, მაგრამ იქვე მოუკლავთ
ვლადიმერი კი დაჭრილი გაქცეუ-
ლა, იმ ღამეს ტყეში ყოფილა, სადაც ჭრილობიდამ ნადენ სისხლის კვალზე მიუგნიათ ტყეში და დაუჭერიათ.

ამ ერთი კვირის წინედ ამათ გაცარცვეს აჯამეთში ურიები, რომელთაც წაართვეს ფული და ცხენი. ამ ამბის შემდეგ შეუდგა იმათ ძებნას პოლიცია და გუშინას-წინ, როგორც მოგახსენეთ, ს. მაღლაკში მიიკვლიეს, ერთი მოკლეს და მეორეც დაჭრილი დღეს ჩამოიყვანეს. ამათგანი მაქსიმე საციმბიროდ იყო გამზადებული, მაგრამ ამ რამდენიმე წლის წინედ, შუადღისას აქაურს ქალაქის მომრიგებელ სასამართლოსთან ნახა შეკაზმული ცხენი, ჩახტა ზევით კიბიდამ შიგ უნაგირში და მოჰქუსლა. ქალაქის პოლიციამ ზდია სანამ ქალაქიდამ გავიდოდა და შემდეგ, რომ დაინახა ახლა მაზრაშიო, მიაძახა: „მაქსიმე! ღმერთმა მშვიდობით მგზავრობა მოგცესო! აწი შენ იცი და ბებურიშვილმაო!“ (მაშინ ბ. ბებურიშვილი იყო ქუთაისის მაზრის მმართველად).

მას აქეთია მაქსიმე ტყეს იყო გავარდნილი. მეორე, ვლადიმერი სამარის გუბერნიაში ყოფილა გარდასახლებული და იქიდამ გამოქცეულა, მოუნახავს სადღაც თავის მეგვარე და თანამოახრე მაქსიმე, დაძმობილებულან, დამეგობრებულან და შემდეგ თუ რაც ავკაცობა უქნიათ, ერთად ჩაუდენიათ.

ვინც ამათი ამბავი იცოდა, ბევრი ლოცვა-კურთხევა უძღვნა დღეს ბ. ალშიბაიას, იმათ ერთის დამჭერს და მეორის მკვლელს. ჩემის მხრით, მეც არ შემიძლია არ ვუქო მას სიმარჯვე, სიმამაცე და გამკარგულებლობა...

—

ამას წინად „დროებაში“ იყო „ხმად“ ნაამბობი, რომ ვითომც ბ. ტფილისის ღუბერნატორი დატოვებას აპირებს თავის თანამდებობისასაო და თან იყო გამოთქმული სურვილი, რომ ეს ხმა არ გამართლებულიყოს. როგორც „ხმაო“, მეც მოგახსენებთ, რომ ამბობენ დაბეჯითებით—ვითომც ბ. ჩვენი ღუბერნატორიც, რომელიც დღეს პეტერბურღში ბრძანდება, აპირებს მიტოვებას თავის ღუბერნიისასაო. უადგილობის გამო, ამ „ხმას“ სხვა ვერავითარ ჩვენს „სურვილს“ ვერ ვუმატებთ...

ქუთაისელი.

სახლისი და მასთან მყოფნი სხვები არ ყოფილიყვნენ.

გასაკვირველია, რომ ამ ველურ ოჯახობისათვის ჯერ ყურადღება არვის არ მიუქცევია.

სკ-ნდელი ბ. ლ.

## ტფილისის სამკურნალო.

ავადმყოფები მიიღებიან დილის რვა საათიდამ თორმეტ საათამდის.

**ორშაბათს.** გარალევიჩი და ლისიცევი—შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავადმყოფობისა; ბასხუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავადმყოფობისა; ბაბაევი მკრდვების სისუსტის და შინაგან ავადმყოფობისა.

**სამშაბათს.** მინკევიჩი—ხირურგიული ავადმყოფობისა; ლისიცევი—შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავადმყოფობისა; ბასხუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავადმყოფობისა; ბაბაევი და დანიელ-ბეგოვი—მკრდვების სისუსტის და შინაგან ავადმყოფობისა.

**ოთხშაბათს.** ლისიცევი და მირიმანოვი შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასხუტოვი—ბებიაობის ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—მკრდვების სისუს-ავათმყოფობისა.

**ხუთშაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასხუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—მკრდვების ავათმყოფობისა.

**პარასკევს.** მინკევიჩი — ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი, მირიმანოვი და დანიელ-ბეგოვი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასხუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—მკრდვების სისუსტის ავათმყოფობისა.

**შაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასხუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—მკრდ. ს სუსტის ავათმყოფობისა.

# განცხადებანი

—

ინგლისის

## მაღაზია

*Maison de confiance*

| | |
|---|---|
| შეადარეთ წვენი ჩაი—1 მ. 10 კ. | მოსკოვის ჩაის—1 მ. 40 კ. |
| — — —1—20 | — —1—60 |
| — — —1—40 | — —1—80 |
| — — —1—60 | — —2— „ |
| — — —1—80 | — —2—50 |
| საუკეთესო—2— „ | — —3— „ |

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ქურქელი, ჩაიდნები, გასალებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეიონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშინ კლეინკორი—სულ ყველაფერი 25, დამ 5ს პროცენტით უფრო იაფადვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—10)

---

ვ. შავერდოვის გაზეთის სააგენტოში ტფილისში (გოლოვინის პროსპექტზე ალექსანდროვის ბაღთან საკუთარს პავილიონში).

### მიიღება ხელის მოწერა 1883 წლისა

ყოველ გვარ ჟურნალებზედ და გაზეთებზე ადგილობრივ, რუსულ და სამზღვარ გარეთებზედაც. (20—3)

---

### წერა-კითხვის საზოგადოების გამოცემანი:

იგავ-არაკნი, გალექსილნი თ. რ. ერისთავისაგან, სურათებითი გამოცემა მეორე, ფასი ექვსი შაური.

წითელი ფარანი, საყმაწვილო მოთხრობა, თარგ. ბ. ანდრონიკაშვილისა, ფასი სამი შაური.

ხატაური, საყმაწვილო მოთხრობა, თარგ. ანასტასია თუმანიშვილისა, ფასი ორი შაური.

ეს წიგნები ისყიდება საზოგადოების კანცელარიაში და წიგნების მაღაზიებში. ვინც ნაღდს ფულზედ ერთბაშად იყიდის 15 ეგზემპლიარს რომელსამე წიგნისასა, დაეთმობა 20% ანუ მანეთზედ ერთი აბაზი და მიეცემა: იგავ-არაკი წიგნი 24 კაპ., წითელი ფარანი 12 კაპ. და ხ ტაური 8 კ. (10—7)

---

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

### მამულის საერთო მფლობელობაზე

თხზულება

ანტონ ფურცელაძისა

გამოცემული

ზაქარ ჭიჭინაძისაგან.

ფასი თითო წიგნისა ერთი აბაზი

---

ქართველ ქალებისაგან ნათარგმნი

## მოთხრობანი

წიგნი მეორე.

ისყიდება ტფილისში: შავერდოვთან, ჩარკვიანთან და გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (ბაღის პირ-და-პირ).

ქუთაისში: ჭილაძის და ნიკოლაძის მაღაზიაში.

გორში: მ. კერესელიძესთან.

---

**ОБЪ ИЗДАНІИ**

въ 1883 году

Въ г. Тифлисѣ

еженедѣльнаго юридическаго журнала

## „ЮРИДИЧЕСКОЕ ОБОЗРѢНІЕ"

*(годъ третій)*

*Журналъ, какъ и прежде, выходитъ по четвергамъ, въ размѣрѣ отъ 1 до 2 печатныхъ листовъ текста, кромѣ прилсженій, по прежней программѣ,* въ объемъ которой входятъ *статьи по всѣмъ вопросамъ,* вытекающимъ *изъ теоріи и практики права и судопроизводства, перечень, изложеніе и обсужденіе* важнѣйшихъ *разпоряженій и узаконеній правительства,* краткіе *отчеты* (а въ случаяхъ важныхъ, и стенографическіе) *о выдающихся судебныхъ дѣлахъ,* особенно интересныя *гражданскія рѣшенія,* случаи изъ судебной жизни и практики *(разныя извѣстія), корреспонденціи* юридическаго содержанія, *городская хроника,* перечень *новыхъ* [*книгъ* юридическаго содержанія и *обзоръ печати, тезисы кассаціонныхъ рѣшеній:* Правительствующаго Сената и Тифлисской Судебной Палаты, *судебный указатель* и пр.

*Редакція* журнала—Тифлисъ, Давидовская ул. д. Кананова.

*Администрація* (для пріема подписки, объявленій и розничной продажи)—Тифлисъ, Сололакская ул. д. Меликова.

*Подписная цѣна на журналъ,* съ доставкою и пересылкою, *на годъ—10 р., на 9 мѣс.—8 р. 20 к., на 6 мѣс.—6 р., на 3 мѣс.—3 р. 20 к., на 1 мѣс.—1 р. 20 к.,*

*Разсрочки въ платежѣ* денегъ допускается—для годовыхъ подписчиковъ: *при подпискѣ 4 руб. и въ февралѣ и мартѣ по 3 р., и для полугодовыхъ: при подпискѣ 3 р. и чрезъ мѣсяцъ еще 3 р.*

Подписаться можно съ 1-го числа каждаго мѣсяца и не далѣе конца года.—*Отдѣльные нумера* по 25 к.—*Объявленія,* казенныя и частныя, по таксѣ за занимаемое мѣсто.—Кромѣ администраціи журнала, подписка и объявленія принимаются въ *Москвѣ* и *С.-Петербургѣ* въ книжныхъ магазинахъ И. П. Анисимога.

Редакторъ А. В. *Степановъ.*

Издатель А. С. *Френкель.*
(Присяжный Повѣренный)

(6—2)

---

ახალი წიგნი

ისყიდება შავერდოვის გაზეთის სააგენტოში, ბულვარზე

შემოკლებული

საქართველოს

## ისტორია

შედგენილი რომან ცანციევისაგან. 1882 წ. ფასი თოთხმეტი შაური, გაგზავნით ოთხი აბაზი.

---

### ბეკკერის თეატრი

გუნიბის მოედანზედ.

ოთხშაბათს 24 ნოემბერს

არა ჩვეულებრივი, საოცნებო და თვალთ-მაქცური

## საღამო.



ოთხს განყოფილებად, სხვათა შორის:

ბეკკერი შეკრული პირველად ანტი-სპირიტული

კონცერტი

ამერიკულს კარავში მმათ დავენპორტების მაგალითზედ

მონაწილეობას მიიღებს ქ. ანიტა და 12 ქალი ბატონ ბეკკერის ტრუპიდგან.

ადგილების ფასი: ლოჟები ლიტერნი, ბელ-ეტაჟი და ბენუარი (6 კაცის ადგილი) 6 მ. ნ. და დანარჩენი 5 მან. 1 წყობა 2 მ. 50 კ., 2 და 3—2 მ., 4, 5 და 6—1 50 კ., 7, 8 და 9—1 მ. 25 კ., 10—15—1 მან.; ბალკონის 1 ადგილი 1 მ. და დანარჩენისა 75 კ.; ამფითეატრი 60 კ.; გალერეია 30 კ.

დაიწყება $7^1/_2$ საათზე.

შაბათს 27 ნოემბერს, „ბავშვებისთვის საღამო" ნაკლებ ფასებით.

---

### ბიბლიოგრაფიული განცხადება.

**ბუნების კარი,** ანუ ყრმათათვის საკითხავი წიგნი უმცროსს კლასებში სახმარებელი, შედგენილი ი. გოგებაშვილისაგან, დაიბეჭდა მეოთხე შეცვლილი გამოცემა და ისყიდება გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში, კუკიის ხიდის ყურთან. ფასი თხუთმეტი შაური. სასწავლებლებს და გერმოპირებს, რომელნიც იყიდიან ნაღდს ფულზედ ერთად თხუთმეტს ეგზემპლიარისა, ანუ მომეტებულსა, დაეთმობა ეგზემპლიარი თოთხმეტ შაურად; ვინც ოც-და-ათს ეგზემპლიარს იყიდის, წიგნი მიეცემა ცამეტ შაურად. ყდისათვის უნდა დაემატოს სამი შაური.

**კარტა საქართველოსი,** მეორე შევსებული გამოცემა; ისყიდება იმავე მაღაზიაში. ფასი სამი აბაზი; ვინც ათს ეგზემპლიარს იყიდის, კარტა მიეცემა თერთმეტ შაურად, ოცი ეგზემპლიარის მყიდველს—ათს შაურად.